

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებრივ
საექსპორტო კონფერენციის მასალები

I

International Conference Proceedings
HUMANITIES IN THE INFORMATION SOCIETY



ნინო კირვალიძე (თბილისი)

(რესერვ-საქანითველოს 2008 წლის ავგისტოს ომის მასალაზე)

ცივილიზაციის განვითარების თანამდეროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის განსაკუთრებული მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ პოლიტიკური დისკურსი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რომელთა შორისაც ცენტრალური აღგილი ომს უკავია, ხდება ინტერდისციალინარული კვლევის საგანი. მიგვაჩნია, რომ ლინგვისტურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიგება, რადგანაც პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტველებისგან. ფაქტურად, ნებისმიერი პოლიტიკური იდეა ან აქცია იბადება, მზადდება, რეალიზდება და კონტროლირდება ენის საშუალებით. პოლიტიკური დისკურსის კვლევისადმი ინტერესის ზრდამ განაპირობა ენათმეცნიერებაში ახალი მიმართულების – პოლიტიკური ლინგვისტიკის წარმოშობა, რაც შეიძლება აიხსნას თავად ლინგვისტური თეორიის შინაგანი მოთხოვნილებითაც, რომელიც თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იჩენდა ინტერესს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების რეალური სფეროებისადმი.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ომთან დაკავშირებული ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსის კელეგას და ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის იმ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენას, რომლებიც ამ ქვეყნების ეთნო-კულტურული და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებით აისხება. საკულტ მასალად აღვალი გვაქვს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსი, რომლებშიც იმდენი მწვავე მეტაფორული განცხადება გაეკოდა მსოფლიოს პოლიტიკოსთა მიერ, რომ იგი საბოლოოდ მეტაფორათა ომში გადაიზარდა.

ვიდრე ამ საკითხის განხილვას დაიწყებდეთ, მიზანშეწონილად მიგანია, პირველ რიგში, დავაუსტორ თავად პოლიტიკური დისკურსის ცნება. არსებობს ამ ცნების ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება როგორც პუბლიცისტური სფეროს ენა. ასეთ ასრის ვეზდებით, მაგალითად, დე ლანდშერის ნაშრომში “The Political Rhetoric of United Europe” (დე ლანდშერი 1998: 35). ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პოლიტიკური დისკურსის ვიწრო, ვან დეიკისეულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური დისკურსი განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიური ქონბრივი ოქუაურუსი, გარევეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება გააჩნია. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი – ეს პოლიტიკოსების დისკურსია და ოუ მას მოვაკევთ პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად (ვან დეიკ 1998:124).

მეორე მხრივი, აუცილებელია დაგასუშსტოთ თუ რა იგულისხმება კოგნიტური მეტაფორის ცნების ქვეშ და რითი განსხვავდება ის მსატერიული, პოეტური მეტაფორისგან. ლინგვისტური ლიტერატურის კრიტიკული განსხვავდება შესაძლებლობას გვაძლევს დაგასაკვნაო, რომ მსატერიული მეტაფორა შედგებია სამყაროს სუბიექტურ-პეტეტური ხედვისა, რომელიც მეტაფორის სუბიექტის ასოციაციურ ხასიათის კონტაქტში და უსოებრ-შეფასებით აზროვნებაზე დამყარებული, რის გამოც იგი თხრობას განუმორებულ ინდივიდუალურობას და ექსპრესიულ-ემოციურობას სძენს (ორტონი 1993).

ტრადიციული მოსახრების საპირისპიროდ, რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაკოფმა და მ. ჯონსონმა 1980 წელს შეიმუშავეს და ლინგვისტურ ლიტერატურაში დაამკვიდრეს კოგნიტური მეტაფორის ცნება. ცნობილ ნაშრომში "Metaphors We Live By" ისინი აღნიშნავენ, რომ ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები ხშირად ერთი დიდი, კოგნიტური მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება თავად არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერთს ცნობიერებაში და გამოვლინებას პასუვებს ენაში ცალკეული გამოთქმების, სიტყვების, ფრაზელოგიზმების სახით (ლაპოვი....1980:4). ასეთი კოგნიტური მეტაფორის ნიმუშად ავტორები ასახელებენ ურაზას: "Argument is war" ("კამათი ომია."), რომელიც ექსპლიცირებას პაროგებს მთელ რიგ მეტაფორულ გამოთქმებში:

1. He attacked every weak points in my argument.
 2. His criticisms were right on target.
 3. I demolished his arguments.
 4. He shot down all of my arguments.

მოცემული მსჯელობების განზოგადების საფუძველზე შეიძლება დაგასცენათ, რომ კოგნიტურ ანუ კონცეპტუალურ მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა, რომელიც არ მოიპოვება ენაში მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ არსებობს ერთს ცნობიერებაში და მის არსებობას ადასტურებს მთელი ოიგი მეტაფორული გამოთქმები, რომლებშიც ამ მოვლენის ნიშნები რეალიზდება ყველასთვის გასაგები ენით.

მეტაფორებით მანიპულირება უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური დისკურსის ექსპრესიულ-ემოციურობასთან, რომელიც თავის შერიც მისნად ისახავს ზემოქმედებითი ეფექტურობის გაზრდას. ცნობილია, რომ პოლიტიკოსები ენის ფიგურალურ გამოყენებას საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების მიზნით მიმართავენ კრიზისულ სიტუაციებში. თეზისი პოლიტიკური აზროვნების მეტაფორულობის კრიზისული ბუნების შესახებ დადასტურებულია ექსპერიმენტით, რომელიც 1998 წელს ჩატარდა ამსტერდამის უნივერსიტეტში პროფ. ქრისოლ დე ლანდშერის ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტმა უჩვენა, რომ, რაც უფრო დაბაზულია პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში, მით უფრო ხშირად მიმართავენ ევროპარლამენტის წევრები თავიანთ გამოსვლებში პესიმისტური და აგრესიული შინაარსის მეტაფორებს. ეს საშუალებას გვაძლევს დაგასცენათ, რომ პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულობა შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში კრიზისის მაჩვენებლად (დე ლანდშერი 1998:43). ამის დადასტურებას წარმოადგენს, მაგალითად, ჯორჯ ბუშის პოლიტიკური განცხადებები ჯერ კიდევ სპარსეთის ყურის ომთან დაკავშირებით, როდესაც შექმნილი სიტუაციის მეტაფორული მოდელირებით მან შეძლო მოეცოვებინა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერა, მიუხედავად მზარდი ანტისამარი განწყობისა ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ (ლაკოფი 1991; 2003).

გადავიდეთ უშუალოდ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული მეტაფორების ანალიზზე ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში. კვლევამ აჩვენა, რომ ეს მეტაფორული მოდელები უმეტესად უნივერსალური ბუნებისაა და მათ საფუძველად უდევს სამი ტიპის გამომხატველობითი სისტემა. ესენია:

1) მოის კლაუსვიცისეული მეტაფორული კონცეპტუალიზაცია, რომლის მიხედვითაც “ომი არის პოლიტიკა, განხორციელებული სხვა საშუალებებით” (“WAR IS POLITICS PURSUED BY OTHER MEANS”), “პოლიტიკა კი ბიზნესით თავისი მოგებით და წაგებით” (“POLITICS IS BUSINESS WITH ITS PROFIT AND LOSSES”). როგორც ცალკეული ადამიანის ინტერესში შედის, იყოს რაც შეიძლება ჯანმრთელი და ძლიერი, რაციონალური სახელმწიფოც ცდილობს მოახდინოს სიმდიდრისა და სამხედრო ძალის მაქსიმალიზაცია. მაგრამ, ეს მეტაფორები ომის გამართლებას შესაძლებელს ხდის მხოლოდ პრაგმატულ და არა მორალურ საფუძველზე, რადგანაც მოგება-ზარალის მეტაფორებს ყველთვის მიყვავართ დაღუპულ ჯარისკაცთა სიცოცხლის არასათანადოდ შეუასებამდე.

2) მეორე გახსენია ჯორჯ ლაკოფის მიერ შემუშავებული კოგნიტურ მეტაფორათა სისტემა, რომლებშიც მოცემულია ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია და მისი გამართლების მცდელობა. ლაკოფი სახელმწიფოს განიხილავს როგორც პიროვნებას, რომელიც ჩართულია სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. მისი მეტაფორა “სახელმწიფო არის პიროვნება” (“A STATE IS A PERSON”) და მისგან გამომდინარე “შეაცრი მამის” (“STRICT FATHER”) და “შზრუნველი მშობლის” (“NURTURANT PARENT”) მორალური მეტაფორები ფარავენ ომის რეალურ სახეს. ამ მეტაფორების მიხედვით, ომის დროს ამერიკა მოწოდებულია, დაეხმაროს საკუთარი თუ სხვა სახელმწიფოს სახოგადოების წევრებს (ლაკოფი 1991; 2003).

რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთმა სცადა მოერგო “შსრუნველი მშობლის” როლი აფხაზი და ოსი ხალხის საქართველოს მთავრობისგან “დასაცავად”, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო მოსკოვის ქმედება. თავის შერიც, ამერიკის აღმინისტრაციაც ჯორჯ ბუშის სახით ცდილობდა “მზრუნველი მშობელი” ყოფილიყო საქართველოსთვის. “სამართლიანობა არის ბალანსი” (“JUSTICE IS A BALANCE”) და “სოციალური შეთანხმების” (“SOCIAL CONTRACT”) მეტაფორების თანახმად, უსამართლობის შემსწრე მესამე მხარე ვალდებულია ჩაერიოს და “აღადგინოს სამართლიანობა” (“RESTORE JUSTICE”), თუკი მსხვერპლ “ერ-სახელმწიფოს” არ ძალუბს წინააღმდეგობა გაუწიოს “აგრესორ-ქვეყანას”. საფურადდებოა ასევე იმ კოგნიტური მეტაფორის გამოყენება, რომლის მიხედვითაც “ერი-პიროვნება ადამიანის მსგავსად იკვებება.” ჯორჯ ბუშის გამოსვლებში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიული ექსანტია გათანაბრებულია ჭამასთან (“TERRITORIAL EXPANSION IS EATING), რომლის დროსაც დიდი სახელმწიფოები “ყლაპავენ” ან “მთლიანად შთანთქავენ” პატარა შეზობელ სახემწიფოებს; “Larger states can ‘devour’ or ‘swallow whole’ their smaller and peaceful neighbours.” ლაკოფის მიერ დაფიქსირებული კიდევ ერთი კოგნიტური მეტაფორა შეიძლება მივიჩიოთ უნივერსალიად. ეს არის “მზრუნველების მზაგვრელის” (“NEIGHBORHOOD BULLY”) მეტაფორა, რომელიც აღექვატურია როგორც ქართული, ისე ამერიკული სინამდვილისათვის. სწორედ ეს მეტაფორა მიუსადაგა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას

საქართველოს მიმართ მსოფლიო საზოგადოებამ. "ჰიუსტონ ქრონიკლი" წერდა, რომ მესიჯი ყველა ერთი იყო: "ეს არის შეუბრალებელი, დიდი მხაგრებელი მეზობლის მიერ პატარა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის ცივსისხლიანი მკვლელობა":

"This is a cold-blooded murder of a small, free independent country by a ruthless big bullying neighbor."

(“ჰიუსტონ ქრონიკლი”, ქვირა, 24 აგვისტო, 2008)

3) ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მესამე საწყისია “ბოროტისა” და “კეთილის” მარადიული სამართლიანი ბრძოლის ზღაპრისეული საწყისი (“THE FAIRY TALE OF THE JUST WAR”) მისთვის დამახასიათებელი ბოროტი ძალის დამარცხებით და “მსხელი გმირის” გამარჯვებით, რომელიც, ზღაპრისგან განსხვავებით, რეალურ ომში გამარჯვებულად ვერ ჩაითვლება იმ დიდი მსხვერპლის და ზარალის გამო, რომელიც ნებისმიერ ომს ახლავს თან მიუხედავად იმისა, სამართლიანია თუ არა ეს ომი.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთი შეეცადა საერთაშორისო საზოგადოების თვალში წარმოჩნდილი როგორც ოსი და აფხაზი ხალხების “მსხელი გმირი” სამართლიანი ომის ზღაპრის სიუჟეტიდან და ასე შეეთხება მორალური ანგარიშსწორების ზღაპრი “მჩაგვრელი” საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ მისი ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. 16 აგვისტოს “ვაშინგტონ პოსტი” წერდა, რომ მოსკოვის მიზანი ქართული დემოკრატიის ჩაკვლა იყო: “Moscow's ultimate aim was to kill Georgian democracy”. ამ ომში საქართველოს მთავრობამაც სცადა “თავდაცვესა და სსნის” სამართლიანი ომის ზღაპრის სიუჟეტის მორგება მოცემულ სიტუაციაზე, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე კრახით დამთავრდა.

ემპირიული მასალის შეპირისპირებითმა ანალიზმა დაადასტურა, რომ სემოსსენებული ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელები უნივერსალურია და ამდენად საერთო ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. ოუმცა ქართულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორები უფრო მძაფრი გამომ-ხატველობით ხასიათდება, რაც ქართული ეთნოლიტიკური აისხება. “ჰიუსტონ ქრონიკლი” აღნიშნავს, რომ სააკაშვილმა რუსებს უწოდა “21-ე საუკუნის ბარბაროსები, რომელთაც გააკატიურეს საქართველო”:

“Saakashvili referred to the Russians as ‘21st century barbarians’ who had essentially raped Georgia.”

(“ჰიუსტონ ქრონიკლი”, შაბათი, 16 აგვისტო, 2008, გვ 23)

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ, რომელმა ქვეყანამაც არ უნდა მოირგოს კოგნიტური მეტაფორები ან შეეცადოს კლასიკური ზღაპრის “მსხელ გმირად” წარმოაჩინოს თავი, მაინც ვერცერთი ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად, რადგან თავად ომია ამორალური და ყოვლად გაუმართლებელი ქმედება. მას თან ახლავს არა მარტო ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური სარალი, არამედ საზოგადოების უსარმაზარი ფიქოლოგიური სტრუქტიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დე ლანდშერი 1998: De Landtsheer, Christ'l. "The political rhetoric of a United Europe." In: Feldman, Ofer & Chirst'l de Landtsheer(Eds.). *Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere*. New York: Praeger Publishers, p. 35-51.
2. ლაკოფი 1991: Lakoff, George. "Metaphor and War: The Metaphor system Used to justify War in the gulf." In: *Viet Nam Generation Journal & Newsletter*, vol. 3, No. 3 (November).
3. ლაკოფი 1991: Lakoff, George. Metaphor and War, Again. Linguistics Department, UC Berkeley.
4. ლაკოფი 1991: Lakoff, George, & Mark Johnson. *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.
5. ორტონი 1993: Ortoni, Andrew (Ed.), *Metaphor and Thought*, 2-nd edition. Cambridge: Cambridge University Press.
6. ვან დიკი 1998: Van Dijk, Terence A. "What is political discourse analysis?" In: Blommaert, Jan and Bulcaen, Chris (Eds.), *Political Linguistics*. Amsterdam, p. 124 -142.

Nino Kirvalidze (Tbilisi)

**Metaphorical Conceptual Parallelisms in American
And Georgian Political Discourses
(on the Material of Russia-Georgia War August, 2008)**

The current political situation all over the world has made political discourse with its problematic themes, among which *WAR* occupies the central place, a subject of interdisciplinary studies. We consider linguistic research of paramount importance as political thoughts and actions are inseparable from political speech. In fact, any political idea or action is born, prepared, realized and controlled by language.

The aim of our paper is to study political discourse as a weapon of war and show how military activities may be converted into the war of metaphors. From this viewpoint, it was very interesting to analyze Georgian and American political discourses related to Russia-Georgia war August, 2008. This war had a worldwide resonance and later on it turned into the war of metaphors. We try to make a comparative analysis of metaphorical conceptualization of war in Georgian and American political discourses in order to reveal those similarities and differences that are caused by the ethno-cultural and ethno-psychological characteristics of these two nations.

Our research has shown that metaphorical conceptualization of war in both languages is based on three systems of expressive means: 1) Clausewitzian metaphorical conceptualization of war according to which "War is politics pursued by other means," "Politics is business with its profit and losses." These metaphors only allow war to be justified on pragmatic, not on moral grounds; 2) George Lakoff's system of cognitive metaphors aimed to justify war morally by employing "A State Is a Person", "Strict Father", "Nurturant Parent" and "Neighborhood Bully" conceptual metaphors; 3)"The fairy tale scenario for a just war" which, being the most natural way to justify war on moral grounds, is to fit the fairy tale structure to a given situation, with a hero fighting to rescue people from the evil.

Yet, the reality has proved that however hard politicians might try to apply cognitive metaphors or a fairy tale scenario to any war in order to justify it they would never succeed against the background of the heavy casualties and the great moral, social, economic and political damages caused by the war. So any belligerent country is doomed to be defeated from the very moment of opening the fire.

The result of our study is that the models of metaphorical conceptualisation of war are universal and thus common for Georgian and American political discourses. However, these metaphors are expressed relatively in a sharper way in Georgian political discourse that can be explained by ethno-cultural and ethno-psychological characteristics of the Georgian nation.